№ 174
ავგისტოს 17, შაბათი 1902 წ.
1877

ივერია

№ 174
ავგისტოს 17, შაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ 12 ამა ავგისტოს გარდაიცვალა დრამატურგი და დრამატ. საზოგადოების საპატიო წევრი

ავქსენტი ანტონის ძე ცაგარელი

პანაშვიდი საღამოს 7 საათზედ განსვენებულის სადგომში, ავჭალის ქუჩა, სახლი გაგნიძისა. გამოსვენება კვირას, 18-ს ავგისტოს, დილის 8 საათზედ, საკუთარ სადგომიდან ქვაშვეთის ეკკლესიაში, ხოლო იქიდან დასკრძალავად კუკის მართლ-მადიდებელთა სასაფლაოზე. (2—2)

ნაცვალია მერაბის ასული გაბუნია-ცაგარლისა და **ივანე და გიორგი ანტონის ძენი ცაგარლები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი მეუღლისას, მეორენი ძმისას

ავქსენტი ანტონის ძის ცაგარლისას,

სთხოვენ მობრძანდნენ პანაშვიდე საღამოს 7 საათზედ, ავჭალის ქუჩა, სახლი გაგნიძისა, მიცვალებულს გამოასვენებენ დასაკრძალავად კვირას, 18 ავგისტოს, დილის 8 საათ. საკუთარ სადგომიდგან ქვაშვეთის ეკკლესიაში, ხოლო იქიდგან კუკის მართლ-მადიდებელ სასაფლაოზედ.

ქართულ სახალხო წარმოდგენების გამმართველი სექცია მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ნიჭიერის დრამატურგისა და სახალხო თეატრის ერთგულ მუშაკის

ა. ა. ცაგარლის

გარდაცვალებას.

ქართული დრამატიული დასის მსახიობნი აუწყებენ რა ქართველ საზოგადოებას დაუღიწყარის ამხანაგის

ასიკო ცაგარლის

გარდაცვალებას, სთხოვენ განსვენებულის პატივისმცემელთ დასწრებას მის დაკრძალვაზე კვირას, 18 ავგისტოს.

პანაშვიები ყოველ-დღე საღამოს 7 საათზედ, მიცვალებულის ბინაზედ, ავჭალის ქუჩა, № 4.

გაზეთი „ივერია“

რომლის გამომცემელია დღეს თ. ი. გ. ჭავჭავაძე,

გადადის საკუთრებად „ივერიის“ ამხანაგობის ხელში

ამხანაგობამ უფლება ამ გაზეთის გამოცემისა შეიძინა ნოტარიუსის წესით დამტკიცებულ ხელ-შეკრულობით 6 აპრილს 1902 წ.

ამხანაგობაში მონაწილეობას იღებენ: თ. ამირეჯიბი, როსებ თადეოზის-ძე, დოქტორი ვაწაძე, სპირიდონ იოსების-ძე, დოქტორი გაბაშვილი, დიმიტრი გრიგოლის-ძე, ლოლობერიძე, ნიკოლოოზ ბესარიონის-ძე, გოგებაშვილი იაკობ სვიმონის-ძე, გძელიშვილი გიორგი ივანეს-ძე, გუნცაძე ირაკლი ალექსანდრეს-ძე, თ. დიასამიძე, გრიგოლ ნიკოლოოზის-ძე, ჯაბადარი, ივანე სპირიდონის-ძე, მესხი, კონსტანტინე დავითის-ძე, მიქაბერიძე, ალექსანდრე ნიკოლოოზის-ძე, სარაჯიშვილი, ალექსანდრე ივანეს-ძე, დოქტორი ჩიქოვანი, ყარამან მანუჩარის-ძე და ყიფშიძე, გრიგოლ თეოდორეს-ძე.

ამხანაგობის თანხა განსაზღვრულია 15,000 მან., განყოფილი 1,500 პაით, 10 მან. თითო პაი.

ვისაც სურს შეიძინოს პაი, კეთილ-ინებოს და მიჰმართოს „ივერიის“ რედაქციას, რომელიც იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, №№ 117 და 118.

ამხანაგობის საზოგადო კრებაზედ ხმა აქვს მხოლოდ იმას, ვინც შეიძენს არა ნაკლებ ათის პაისა.

რედაქციაში შეიძლება მსურველმა მიიღოს ეგზემპლიარი ხელ-შეკრულობისა.

ს.-პეტერბურგის კომპანია „ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ღმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა . . . . 1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა . . . . 2.664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 სააგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, [illegible] და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბარებას ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, საცა ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

შეინახავს საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევს მას საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნავოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში სავლელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავდიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

საქონლის გადასაზიდად იქ, საცა პირდაპირ მიდის მატარებელი, კომპანიის ნავოსნობას მორიგება აქვს დადებული რკინის გზებთან იმ საქონლის შესახებ, რომელიც რუსეთიდგან იგზავნება სპარსეთს ან სპარსეთიდგან რუსეთს. კომპანიას ცალკე, განსაკუთრებულ უპირატესობაზედ დამყარებული ხელ-შეკრულობა აქვს დადებული სპარსეთის საზღვაო და სატრანსპორტო საზოგადოებასთან.

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.

ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა, ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის **„ნადეჟდას“**-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლი № 10.

[illegible] და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო სასახლის ქუჩაზეა, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108. (120—6.—15)

ფოთის ქალაქის მმართველობა ამით აცხადებს იმათ საყურადღებოთ, ვინც შემოიტანა უკანასკნელად შესწორებული ამომრჩეველთა სიები, რომ **ხმოსანთა ამოსარჩევი კრება** ოთხი წლით ხმოსათა ამოსარჩევად 1902—1903 წ. წ. დანიშნულია 8 **სექტემბერს** 1902 წ. დილის 9 საათზე ფოთის ქალაქის საბჭოს დარბაზში. (3—6.—2)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობანი.

ვ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ქ. ი. გძელიშვილი. 6—7 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

ვ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიმსა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კრაოტები

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 სათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ზ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

გრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირის, 5—6. კვირაობით დილის 12—1 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

კვირაობით:

ზ. გ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავდმყოფობათა. (წ.)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე.

კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38. (წლ.)

ექიმი ალ. მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო ნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.

მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ: ხორუნჟობა პაჟთა კორპუსის პაჟს ბუქყიაშვილს ულანის პოლკში;—კორნეტობა სევერის პოლკში თ-დ ანდრონიკაშვილს და ლიტოვის პოლკში ჯოხაძეს;—პოდპორუჩიკობა: გვარდიის ცხენოსან არტილერიის ბრიგადაში ფელდფებელს წერეთელს; პორტუპეი-იუნკრებს: თ-დ თუმანიშვილს მე-6-ე არტილერიის ბრიგადაში და წინამძღვრიშვილს კავკასიის გრენედერთა პოლკში;—იუნკრებს: ქლენტს აღმოსავლეთ-ციმბირის საპერთა ბატალიონში;—ანანიაშვილს მე-19-ე საპერთა ბატალიონში; გურგენიძეს, ნავაგინის პოლკში. პორტუპეი-იუნკერს ნაცვალიშვილს, კურინის პოლკში, იუნკრებს: გოგიტიძეს, ყუბის პოლკში. გაბაშვილებს ლევანს, კავკასიის მე-2 მსროლელთა ბატალიონში და მიხეილს 1-ლში; ვაჩნაძეს; ფოთის პოლკში; ჭილაშვილს, კასპიის პოლკში, თ-დ ჯაფარიძეს, ახალ-ბაიზეთის პოლკში, თ. სუმბათაშვილს, კრასნო-ვოდსკისაში; თ-დ მაჩაბელს, კავკასიის მე-8 მსროლელთა ბატალიონში; ანჯაფარიძეს სალიანისაში; კორნეტობა იუნკრებს: თ. ხიმშიაშვილს. — ლიტოვის პოლკში და თ. ერისთავს კლიასტიცისაში.

— ლიდის პოლკის პოდპრაპორჩიკს ლოლაძეს პოდპორუჩიკობა.

ტფილისი

◆ ჩვენ მივიღეთ ყარსის ქართველებისაგან შემდეგი დეპეშა:

„ყარსის ქართველობა, აქსენტი ცაგარლის უდროვო გარდაცვალების გამო, დიდად შეწუხებული სიტრის მათთან ერთად, ვისთვისაც ეროვნული თვით-ცნობიერება ღ მშობლის ლიტერატურა ძვირფასია, საყვარელს ღ ნიჭიერს დრამატურგს, რომელმაც დიდი ამაგი დასდო და კიდევ მეტს ჰპირდებოდა სამშობლოს“.

◆ საქალაქო დებულების ძალით, ყოველივე საქმე ქალაქისა, რომლის ხარჯთ-აღრიცხვა 300 მანეთს აღემატება, იჯარით უნდა გაიცეს; ამ ბოლოს დროს საუცხოვო ჩვეულება შეუთვისებია გამგეობის ზოგიერთს წევრს: ის საიჯარო საქმეები, რომელთათვისაც გადადებულია ათასობით და ათი-ათას მანათობით, ეძლევა იმ პირთ, ვისაც გამგეობის წევრი სწყალობს; ჩვენის აზრით ამისთანა საქმეებში სათელ-მირონობას არ უნდა ჰქონდეს ადგილი და საქმე იმას უნდა მიენდოს, ვინც უფრო პირნათლად შეასრულებს მას.

◆ უმაღლეს მთავრობის წინაშე აღიძრა შუამდგომლობა, რომ ცხინვალში ცეცხლით დაზარალებულთა სახლების ასაგებათ ხე-ტყე უფასოდ დაეთმოთ სახელმწიფო ტყეებიდგან.

◆ ნავთლუღის რკინის გზის სადგურის მახლობლად არხში უპოვნიათ მოკლული კაცის გვამი, რომლის ვინაობაც ჯერ ვერ აღმოუჩენიათ; გვამი მთლად ტიტველი ყოფილა; სხეული მთლად დახვრემილი და გახრწნილია მატლებისაგან.

◆ ამ დღებში შეცდომით გვქონდა მოხსენებული, რომ წელს კავკასიის სტიპენდია არც ერთს ქართველს არ დაუნიშნეს-თქო; მაგრამ ეხლა გვატყობინებენ, რომ სტიპენდია ერთი ქართველისათვის დაუნიშნავთ—გრიგოლ წულეისკირისათვის, რომელსაც წელს დაუმთევრებია ტფ. მე-2 გიმნაზია და სწავლის განსაგრძობად პეტარბ. უნივერსიტეტის საისტორიო-ფილოლოგიურ ფაკულტეტზედ შესულა.

◆ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში აღუძრავთ კითხვა, რომ სიღნაღის მაზრაში პატარა შირაქში მდებარე სახასო სათიბი, ზომით 600 დესეტინა ცნობილ იქმნას აშკარად ნავთიან მიწად. თუ ეს საკითხი ასე გადასწყდა, იმ შემთხვევაში ხსენებულის მიწის ნაჭრის შესახებ ძალა ექნება სამადნო წესდების (ტ. VII 586—593) სტატიებს.

◆ უკანასკნელ სხდომაზედ ქალაქის მოურავმა მოახსენა გამგეობას, რომ მელსამე ობლიგაციის ქალაქის სესხი უკვე განხორციელდა და კარგი იქნება, ქალაქის საყასბოს პროექტს ეხლა მაინც მიეცეს გზაო. გამგეობის წევრმა ენფიაჯიანცმა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ამ პროექტის დედგენა დასძინა, რომ პროექტი აგერ ერთი წელიწადია, რაც შემუშავებულია, მხოლოდ ამ ხნის განმავლობაში მეცნიერებამ და ტეხნიკამ შესამჩნევად წაიწია წინაო და, რომ პროექტი ამ მეცნიერების მოთხოვნილებისამებრ შეკეთდეს, ას თუმნამდე მეტი ხარჯი დასჭირდება, ვიდრე გამოანგარიშებული იყოო. გამგეობამ დაადგინა კიდევ მიეცეს ბ-ნ ენფიაჯიანცს ასი თუმანი პროექტის შესამუშავებლადაო.

◆ 1 იანვრიდან 1 ავგისტომდე ქალაქის კასაში შემოსულა სხვა-და-სხვა შესავალ სტატიებიდგან სულ 273,293 მან. 96 კ. ერთის თვის განმავლობაში, ე. ი. პირველ ივლისიდან პირველ ავგისტომდის კასსაში შესულა 45,268 მან. 70 კაპ.

◆ ტფილისის პირუტყვთა მფარველმა საზოგადოებამ ამას წინად თხოვნით მიჰმართა ქალაქის გამგეობას, რაიმე შემწეობა აღმოუჩინეთ ჩვენ მიერ დაარსებულ ოთხფეხთა სამკურნალოსაო; გამგეობამ გარდასწყვიტა: მიეცეს სამკურნალოს ყოველ წლიურად 200 მან., და ეს დადგენილება ემცნოს საფინანსო კომისიასაო.

◆ „მთავრობის უწყების“ უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია მთავრობის განკარგულება თავ. გიორგი ჯამბაკურიან-ორბელიანის მამულებზედ აპეკის დანიშვნის შესახებ. აპეკა შესდგება სამი კაცისაგან: ერთი დაინიშნება პეტერბურგის თავად-აზნაურობისაგან, მეორე თვით თავ. ორბელიანისაგან და მესამეც მის მოვალეთაგან,

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ მიჰმართა ყაზანისა და ოდესსის ქალაქის გამგეობას, შე-

ვატყობინეთ, რა პირობებით ანათებთ ქალაქს გაზითაო, ვთხოვთ მოგვაწოდოთ ყველა ცნობები, რაც ქალაქს გაზით განათებას შეეხებაო. ამ ცნობების შეკრება ტფილისის ქალაქ გამგეობას იმიტომ მოუთხოვნია, რომ ამ ბოლოს დროს ტფილისის გამგეობამაც განიზრახა გაზით გაანათოს ქუჩები.

◆ ბაქოს ქალაქის მოურავს უთხოვნია ქალ. ტფილისის გამგეობისთვის დაწვრილებით გვაცნობეთ ყოველივე ქალაქის ხორცის დუქნების შესახებაო.

◆ ვინც ქალაქის გამგეობას წარუდგინა მე-III-მე ობლიგაციები, შეუძლიათ მიიღონ ახალი ობლიგაციები, რადგან გამგეობას სახელმწიფო პალატიდგან მიუღია ათ-თუმნიანი ქაღალდები 32,700 მანათისა და ას თუმნიანი—103,000 მან.

◆ ტფილისს ჩამოვიდა საერო განათლების სამინისტროს სამრეწველო სკოლების ინსპექტორი და გზათა სამინისტროს სამოსწავლო განყოფილების წევრი ვას. ვას. კორვატოვსკი, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს, რამდენად საჭიროა კავკასიაში სამრეწველო სკოლების დაარსება.

◆ გუბერნატორმა აცნობა ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსს, რომ დასაფასებელი გადასახადი ითვლება თქვენზედ და უნდა შეიტანოთ ქალაქის კასაშიო.

◆ როგორც მკითხველებს მოეხსენებათ „გელიოსის“, ელექტრონის საზოგადოების პროექტი ქალაქის განათების შესახებ წარდგენილ იქმნა შინაგან საქმეთა სამინისტროს სატექნიკო კომიტეტში, რომელმაც იგი შეასწორა და ისე დაუბრუნა ქალაქის გამგეობას გადასასინჯავად. ეს შესწორება იმაში გამოიხატა, რომ ბოძებზედ გაბმული მავთულები მიწაში უნდა ჩაიფლას, გარდა ვორონცოვის ხიდისა, სადაც ბოძებზედ მავთულების გაბმა აუცილებელია. ქალაქის გამგეობამ განიხილა ეს პროექტი, და დაადგინა: დაევალოს ინჟინრებს მუხარინსკისა და ეგოროვს, რომ მათ გამოიკვლიონ, რომელ ქუჩებზედაა აუცილებლად საჭირო მავთულების მიწაში გაყვანა, და თავიანთი აზრი წარმოადგინონ ამ საგნის შესახებ.

◆ ჩვენ შევიტყეთ, რომ იმ მსხვილფეხ საქონელს, რომელიც ქალაქმა შეიძინა ხორცის დუქნებისთვის აღმოსჩენია რაღაც სენი, რომელსაც უკვე უმსხვერპლია რამდენიმე სული.

ჩვენებური ამბები

რაჭიდგან გვწერენ, რომ ონში და მის ახლო სოფლებში მიწის-ძვრა თავისას არ იშლის. მეტად საოცარი იყო 6 აგვისტოს მიწის-ძვრა, რომელიც გაგრძელდა თითქმის 2 საათს, ქვითირის სახლებში ცხოვრება შეუძლებელი გახდა.

მოსავალს აქ გვარიანი პირი უჩანს, თუ სეტყვამ არ აგვიკლო.

—

საყულია. ერთი წელიწადია, რაც აქაურებს აზრად მოუვიდათ სესხის კასის დაარსება, მაგრამ აქამდის ერთმანეთის მიუყოლობით განუხორციელებლად დარჩა. მხოლოდ ი. ლორთქიფანიძის და დ. მესხის მეთაურობით თერთმეტ მარიამობისთვეს მოჰხდა კრება, ოქმი შეადგინეს და წარუდგინეს მთავრობას დასამტკიცებლად.

აქაური საზოგადოება ძლიერ შევიწროებულია ადგილობრივ მევახშეებისაგან. კარგი იქნება, შემნახველ-გამსესხებელი ბანკიც დაეარსოთ ჯიხაიშელებსავით.

ი. ც.

კავკასია

როგორც სატახტო გაზეთები იუწყება, რუსეთის რკინის გზათა კომისიას ამ თვის განმავლობაში წარედგინება განსახილველად თავ. ნ. თავდგირიძის მიერ შედგენილი პროექტი ოზურგეთიდგან ნატანებამდე რკინის გზის შტოს გაყვანის შესახებთ.

—

მთავრობამ უკვე მოახდინა განკარგულება, რომ ერევნის გუბერნიაში მსხვილ-ფეხ საქონელს აუცრან ჭირის საწინააღმდეგო შრატით.

რუსეთი

— პირველ სექტემბრიდგან რუსეთის რკინის გზებით შეღავათიან პირობებით გაიგზავნება ყველა ექსპონანტები სრულიად სლავიანთა ხელოსნურ-სამრეწველო ნაწარმოებთა იმ გამოფენაზედ, რომელიც უნდა გაიმართოს პეტერბურგში 1904 წელს.

— ტეხნიურ განათლების მუდმივ კამისიაში ამ ჟამად წარდგენილია განსახილველად საკითხი, რომ პეტერბურგში დაარსებულ იქმნას ხელსაქმის სამუშაო კურსები მასწავლებელთათვის (ქალებისა და კაცებისათვის).

— სენატმა განმარტა, რომ სამაზრო თავად-აზნაურთა წინამძღოლობისა და ნაფიც მსაჯულის თანამდებობათა აღსრულება ერთის და იმავე პირისაგან არ შეესაბამება არც საზოგადო სამსახურის მოთხოვნილებას და არც სამოსამართლო ინტერესებსაო.

— სენატისავე განმარტებით, იგინი, რომელნიც ხმოსანთა არჩევნების დროს გაშავებულ იქნენ, იმავ ამომრჩეველთ კრების მომავალ სესიაში აღარა აქვთ ნება ყუთის დადგმისაო.

—

ტაშკენტი. ქალაქი ტაშკენტი მდებარეობს ქ. კრასნოვოდსკიდგან (ზღვის იქეთა მხარესაა) 2,000 ვერსის მანძილზედ. 2,000 ვერსი პატარა მანძილი არ არის და არც ძრიელ ახლო უნდა იყვეს ჩვენს სამშობლო ქვეყანაზედ. აი ამ შორეულს ქალაქში, ბედით თუ უბედოთ, გადმოხვეწილნი [illegible]ვართ კარგა ბლომა ქართველები. ზოგნი მისდევენ ვაჭრობა-მრეწველობას, ზოგნი იმყოფებიან სხვა-და-სხვა სამსახურში და ზოგნიც გადმოსულან აქეთა მხარეს 15—20 წლის წინათ და მას აქეთ აქა სცხოვრობენ; აქვთ საკუთარი შენობანი და მამულები და სამუდამოდ ჰფიქრობენ აქ დარჩენა და ღმერთს აქ მიაბარონ სულნი თვისნი. საზოგადოდ, ქართველები აქ კარგად სცხოვრობენ, მაგრამ, საუბედუროდ, ურთიერთშორისი თანხმობითი კავშირი და ნაციონალური სიყვარული დავიწყებიათ. ამ ბოლოს, დრომდე ყველი თვის საკუთარს ინტერესებს იცავდა და ემსახურებოდა და საზოგადოებრივი ინტერესები-კი უკუ-ეგდოთ.. წარმოიდგინეთ, მკითხველო, რომ იმდენად თავ-შეუდებელნი იყვნენ აქაური ქართველები, რომ ყოვლად უსაჭიროესი ორგანო ჩვენის ცხოვრება-განათლებისა—ქართული ჟურნალ გაზეთები—დავიწყებოდათ, თითო ოროლა პატივცემულ პირთ გარდა და ამათაც მხოლოდ თავიანთვის საკუთრად და არა საზოგადოებისათვის. დანარჩენი-კი ისე ბრძანდებოდნენ და რა ხდებოდა სამშობლოში, არ იცოდნენ. ეს დიდს ხანს გაგრძელდებოდა, რომ ბედს ჩვენთვის ერთი პატიოსანი კაცი არ მოევლინა. ამ კაცმა ჩამობრძანებისთანავე გაიცნო ყველა აქ მყოფი ქართველები და ღრმა ძილი ყველას დაუფრთხო. ეს პატივცემული პირი გახლავთ ბ-ნი ნიკოლოზ ივანეს ძე სიხარულიძე. დიაღ, რომ პატივცემულია დ̃ დიდი ღვაწლი და შრომა მიუძღვის ჩვენდამი. ბ-მა სიხარულიძემ მოგვიყარა თავი ყველას და დაგვაკავშირა. ჯერ, რასაკვირველია, დაწვრილებით გაიცნო ყოველივე ჩვენი მოქმედება მიმართულება და შემდეგში-კი ენერგიულად შეუდგა საქმეს. ერთს დღეს, როდესაც ბლომა ქართველები ვეყავით შეკრებილნი, მან მარტივად დაგვისურათ-ხატა ჩვენგნით მივიწყებული სამშობლო და გვირჩია სამკითხველოს დაარსება და ჩვენი ჟურნალ-გაზეთების გამოწერა. ჩვენ მივხვდით ყოველივე ამას, მისი დარიგება მივიღეთ გულწრფელად და რამდენიმე დღის განმავლობაში შევკრიბეთ-რა საჭირო ფული, გარდავეცით ბ-ნ ნ. სიხარულიძეს და ვსთხოვეთ, როგორც მას სურდა და, როგორც-კი მოახერხებდა, ისე მოეწყო საქმე. ვსთხოვეთ და კიდევაც პატიოსნად შეასრულა ამ პატივცემულმა ჩვენი თხოვნა. დაგვიარსა ქართული სამკითხველო, მოგვდის ჩვენი სამშობლოს ყველა გამოცემანი და ვსტკბებით მათი კითხვით. სხვათა შორის, ბ-ნ ნ. სიხარულიძე ყოველ კვირას აწვდის კიდევ გაზეთებს სხვა-და-სხვა ადგილებში დაფანტულთ, ახალს რკინის-გზაზედ მომუშავეთ ქართველებს, რისთვისაც დიდს, განუსაზღვრელს მადლობას სწირავენ ყველა მუშები. ამას გარდა ბევრს კეთილს საქმეებს სჩადის ჩვენთვის და ჩვენის გონებისა და ცხოვრების გასაუმჯობესებლად. დაუღალავად ებრძვის ყველა ჩვენის ხალხის ცუდის ხასიათებისა და მხარეების მოსპობას და ჩვენც ყველამ, საერთოთ, შევიგენით მისი განუსაზღვრელი შრომა, ღვაწლი და პატრიოტული მიმართულება და პატივსა-ვსცემთ მის სახელსა, როგორც კეთილს, საზოგადო მოღვაწისას. ჩვენ ამ ჟამად ვსცდილობთ, და ყოველთვის ვეცდებით კიდეც, რომ ეს ჩვენთვის სასარგებლო და სამშობლო ენის მოტრფიალე შევინახოთ ისრე, როგორც ორთავ თვალის სინათლე. ბევრს კეთილს მხარეებს გავაცნობდით მკითხველს ბ-ნ ნ. სიხარულიძისას, მაგრამ შემდეგში ვეცდებით უფრო მარტივად აღვწეროთ ყოველივე მისი ზნე-ხასიათი და მოქმედებანი. დიახ, პატივსაცემია ყველა მშრომელი მუშაკი!

აქაური ქართველები; ალექსანდრე ლომიძე, დ. ბახტაძე და ვასილი დავიდოვი.

უცხოეთი

სომხების გულშემატკივართა

კონგრესი ბრიუსელში

(Gazette de Lausanne №№ 158, 167, 168 და 169).

გასულის თვის პირველს რიცხვებში ბრიუსელში გაიხსნა სომხების გულშემატკივართა კონგრესი, რომელმაც ორ დღეს გასტანა და კარგა დიდი ყურადღება მიიქცია ევროპიელ საზოგადოებისა. სხდომას, რომლის თავმჯდომარედ იყო ბელგიის სენატორი ჰუზო-დელეჟე, დაესწრო მრავალი საუკეთესო და გავლენიანი წარმომადგენელნი ევროპიის სახელმწიფოებისა, ერისა და დასების განურჩევლად: რამდენიმე მინისტრი, სენატორი, პარლამენტების წევრები, ზოგიერთ ცნობილ ჟურნალ-გაზეთების რედაქტორები, მწერლები და სხვა, სულ ორას კაცამდე.

პარიჟელი გაზეთი Pro Armenia, რომელსაც მოთავეობა ეკუთვნის ამ კონგრესის მოწვევაში, ასე განმარტავს მისს მიზანს: კონგრესს აზრად აქვს მოსძებნოს და განიხილოს სხვა-და-სხვა პრაქტიკული საშუალება ევროპის საზოგადოებასა და მთავრობაზე საზედგავლენოდ, რათა მათ გულმოდგინედ იმოქმედონ დაჩაგრულ სომეხთ დასაცველადაო.

სხდომა გაიხსნა თავმჯდომარის სიტყვით. მან მიულოცა დამსწრეთ მათი საერთო სურვილის ასრულება,---ამ კონგრესის დაარსება, სადაც პოლიტიკოსებს და სხვა წარჩინებულ პირთ, სხვა-და-სხვა ქვეყნებიდგან მოსულებს, შეძლება ეძლევათ ერთად იღვაწონ სიმართლისათვის. იმედიაო, სთქვა მან, რომ ამ საერთო მოქმედებას იმდენი ძალა და გავლენა ექნება ევროპიელ მთავრობაზე, რომ ბოლოს იძულებული შეიქმნება ხელი მოჰკიდოს დაჩაგრულ სომეხთ ბედ-იღბალსაო.

ამის შემდეგ გრძელი სიტყვა წარმოსთქვა Pro Armenia-ს რედაქტორმა (Pierre Guillard-მა) და დაწვრილებით უამბო კრებას, რა გაჭირვებულ ყოფაში არიან სომხები; მათი სახლ-კარის აკლება, მრავალი წამება და ხშირი ხოცვა-ჟლეტა მაჰმადიანებისაგან, რომლებიც აქამდე შეუწყვეტლივ ანადგურებენ ამ ბედ-შავ ქრისტიანებს. ერთად ერთი საშუალება, რომელსაც შეუძლიან საქმეს უშველოს, არის განსაკუთრებულ მმართველობის დაწესება სომხეთშიო, რომლის დაარსება უნდა იკისროს ევროპის მთავრობამ, და მასთან ერთად ადგილობრივ ჯარის (მილიციის) ყოლა, ქრისტიანებისაგან შემდგარი. ევროპიისათვის ამის დაწესებაში არა-რაა სახიფათო და მისი განხორციელება ისე ადვილია, როგორც კრიტის დაწყნარება და ლორანდო-ტუზინის ინცინდენტის გაუქმებაო.

ქალბატონი სევერინი მკაცრად იხსენიებს ზოგიერთ ქვეყნის ჟურნალ-გაზეთობას: სომხების ამბებზე განგებ ყური მოიყრუოთ, და სხვებიც გაეკიცხა არა-ერთხელ, სომხების აკლებაზე რათ არა სწერთო.

ამის შემდეგ კონგრესი სექციებად დანაწილდა.

კონგრესმა აირჩია განსაკუთრებული კომისია და მიანდო მას საჭირო პრაქტიკულ საშუალებათა გამოძებნა კონგრესზე წარსადგენად. სხდომა გადაიდო შემდეგ დღისათვის.

მეორე დღე. რედაქტორი Pro Armenia-სი აცხადებს, როგორც წარმომადგენელი გუშინ არჩეულ კომისიისა, რომ აუცილებლად საჭიროა ახლავე დაწესდეს განსაკუთრებული კომიტეტი, რომელსაც აზრად ექნება მოელაპარაკოს სხვა-და-სხვა ქვეყნებში არსებულ კომიტეტებს იმის შესახებ, თუ რა გვარად უნდა მოწესრიგდეს მათი საერთო მოქმედება. წინადადება მიღებულ იქმნა და დაწესდა კომიტეტი, რომლის წევრებად არჩეულ იქმნენ 9 სახელმწიფოს წარმომადგენლები: გერმანიის, დანიის, ბელგიის, საფრანგეთის, ინგ-

ფელეტონი

გაცვეთილი შარები.

კანადეევის ტენდენციურს წიგნს („Очерки Зак. Жизни“) მიზეზი მიუცია „ჩერნომ. ვესტნიკისათვის“ (№ 160) ერთხელ კიდევ ჩაგვჩხვლოს აქაურნი მკვიდრნი, არა მარტო ქართველები, არამედ ამ ჟამად თათრებიც და, წარმოიდგინეთ, სომხებიც-კი, ის სომხები, რომელთაც აქამომდე თავის უბეში ისვამდა ბ-ნი პალმი...

როგორც სჩანს ბ-ნის კანადეევის მიერ შეკრებილი მასალებისაგან, ამიერ კავკასიის ერთა შორისო—ამბობს პალმის გაზეთი, არსებობს დიდი განხეთქილება და მხოლოდ განუკურნებელ უტოპისტებს ძალუძსთ იოცნებონ, რომ ამ ხალხებს შეუძლიათ ერთმანეთის მიმხრობითა და თანხმობით საერთო მუშაობაო... ეს განხეთქილება იქამდეა მისული, რომ ისინი ერთმანეთს ვერ იტანენო. იგივე განხეთქილება ხელს უშლის მართლ-მსაჯულებასაცაო.

ასეთი შარები ჩვენს შესახებ, სწორედ ამავე სიტყვებით გამოთქმული—არ ახალია ძველია...

აღსანიშნავია, რომ ეს ქრონიკული ცილისწამება ისე გაცვდა, 1863 წლიდან, როცა განსვენებულმა კატკოვმა **პირველად** „მოგვიბრუნა კეხი“ ქართველებს განსაკუთრებით და ამიერ-კავკასიელთ საზოგადოდ,—რომ აქამომდე არავის დალაგებით არ დაუსაბუთებია იგი არც ერთი ფაქტით, უმთავრესად იმიტომ, რასაკვირველია, რომ ასეთს ფაქტს ადგილიც არ ჰქონია ჩვენს ცხოვრებაში!

დასაბუთება თქმულისა არ შედიოდა და არც ახლა შედის ცილის-მწამებელთა ანგარიშში. ისინი ყოველთვის სწერდნენ და სწერენ ისეთის აუდიტორიისათვის, რომელსაც უსაბუთოთაც ხელს აძლევდა და აძლევს მათი სიტყვების დაჯერება...

დიდი ხანია, რაც ჩვენის ქვეყნისათვის აუცილებელ საჭიროებად გადაიქცა ერობისა და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტების შემოღება. ამას ნატრულობს ყველა...

როცა ამიერ კავკასიის ერთა შორის განხეთქილებაზე განგაშს დაჰკრავენ ხოლმე ეს ვაჟბატონები, ნაგულისხმევი აქვთ ჩვენი სიკეთე და გაფრთხილება-კი არა, არამედ საერობო და ნაფიც-მსაჯულთა ინსტიტუტების შემოღების ჩაშლა... ახლაც იმიტომ მოიმიზეზა კანადეევის ტენდენციური წიგნი „ჩერნ. ვესტნიკმა“, რომ ეთქვა:... „აი ამისთანა პირობებში (განხეთქილებისა და გაუტანლობის დროსაო) ადამიანები დაბეჯითებით თხოულობენ ერობისა და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტების შემოღებასო. თუ-კი აქაურს მკვიდრს მსაჯულს, რომელსაც მიუღია უმაღლესი ან საშუალო განათლება მაინც და, მაშასადამე, აქვს ყოველივე საჭირო თვისება, რომ შეგნებით ასრულებდეს თანამდებობას,—თუ-კი ასეთის მსაჯულის მიუდგომლობაზედ შეაქვთ ეჭვი, (თუმცა უსამართლოდაო) რაღას იტყვიან მაშინ, როცა გამამტყუნებელს განაჩენს დაუდგენს სომეხი ნაფიცი მსაჯული ბრალდებულს ქართველს, ანუ ქართველი—სომეხს? ასეთი სამდურავები განა არ მოუთხრის ნეტავ ძირს მართლ-მსაჯულებასო“?..

აქ რამდენიც ფრაზაა იმდენი ტენდენციური განზრახ შეცდომა გახლავსთ. ამიერ-კავკასიის ერთი პროვინციიდგან მეორეში ხშირად ინიშნებიან ხოლმე მსაჯულები, ოლქის სასამართლოის წევრნი და თავ-მჯდომარენიც-კი, მაგრამ სასამართლოს რეფორმების შემოღებიდან დღემდე **არ ყოფილა არც ერთი მაგალითი**, რომ მათ დამდურებოდა ხალხი, **როგორც ამა თუ იმ ეროვნების წარმომადგენელთ!**

თქმა არ უნდა, ყველა ქართველ მსაჯულებს რომ ქართველთა შორისვე ამსახურებდნენ და თათრებს თათრებში, ეს უკეთესი იქნებოდა, ხოლო თუ ეს ყოველთვის არ შეიძლება, არასოდეს თათარი ქართველს ქართველობისათვის, სომეხი თათარს თათრობისათვის და ქართველი სომეხს სომხობისათვის არ დაიწუნებს, თუ იგი, როგორც მსაჯული პატიოსანია და სამართლიანი. ყარაბეგოვი და ეჯუბოვი (სომხები) ოზურგეთში, ნაკაშიძე და ამაშუყელი ბაქოში, მამულაიშვილი და გელოვანი ლენქორანსა და ყუბაში, ადიგეზალოვი (თათარი) ოდიშში, ვეზიროვი (თათარი) ქუთაისში და სხვები სხვა-და-სხვა ადგილებში დღესაც ახსოვთ ხალხს და სიამოვნებით იხსენიებენ, როგორც საყვარელ, სამაგალითო გამომძიებელთ, მსაჯულებს, პროკურორის ამხანაგებს და სხვ.

რაკი ასე უჯერებენ ამიერ-კავკასიის ხალხნი სახელმწიფო მსაჯულებს, (коронные суды) აქაურ ერთა შვილებისაგანვე არჩეულებს, არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ იგივე ხალხნი ეჭვის თვალით შეხედავენ და არ ენდობიან სამართალს თავიანთ შვილებისაგანვე არჩეულ ნაფიც მსაჯულებისას! ნუ თუ ის გარემოება შეუშლის ხელს მათდამი ნდობას, რომ იგინი იქნებიან ნაფიცნი მსაჯულნი, დღეს იმსაჯულებენ და ხვალ-კი ისევ ხალხში ჩადგებიან?.. პირ-იქით, ეს გარემოება კიდევ უფრო მეტს ნდობას აღძრავს მათდამი, რადგანაც ყოველ ნაფიც მსაჯულს კარგად ეცოდინება, რომ იგი მხოლოდ დღეს სჯრის სამართალს, რომლის გამრუდებას არასოდეს არ შეარჩენს მას საზოგადოებრივი სინიდისი, ეს უფრთხილესი დარაჯი საყოველთაო სიმართლისა და სამართლისა. ამიტომაც ყოველი ნაფიცი მსაჯული მოწადინებული იქნება სამართალი გადასწყვიტოს სინიდისისამებრ და არა მიდგომით, დ̃ ეს გარემოება-კი დიდად აამაღლებს ხალხის თვალში სასამართლოს გავლენას, პრესტიჟს... მხოლოდ ადგილობრივ ცხოვრების უცოდინარობას ან და განზრახ თვალ-ახვეულს შეუძლია იყოს ამ შეხედულობის წინააღმდეგი...

მარტო ნაფიც მსაჯულთა სამართლის შემოღებას-კი არ გვიბალთავს წინდაწინვე პალმის გაზეთი. იგი წინააღმდეგია აგრეთვე საერობო დაწესებულებათა შემოღებისაც ჩვენში... საერობო დაწესებულებათა მოღვაწეობა რომ ნაყოფიერი იქმნასო—მოუბარობს „ჩერნომორსკი ვესტნიკი“—საჭიროა ერთმანეთის მიმხრობით შრომა, და განა შეიძლება ასეთი შრომა, მაგალითად, ტფილისის გუბერნიაში, სადაც ქართველ მებატონეებთან ერთად ცხოვრებენ სომეხ მებატონეებიც, რომელნიც **მტრულად** ეპყრობიან ერთმანეთსაო...

ერთი რომ, საერობო დაწესებულებაში ხმა აქვთ არა მარტო **მებატონეებს** (ПОМѢЩИКЪ) არამედ **ყველას**, ვისაც-კი მიწის მფლობელობის ცენზი აქვთ, და მეორე—ცხოვრების რომელი ფაქტისაგან გამოჰყავთ ჩვენს ძალად მზრუნველებს ის დასკვნა, რომ ქართველი და სომეხი **მებატონეები** ერთმანეთს **მტრულად** ეპყრობიან?? მაგრამ აკი მოგახსენეთ—დასაბუთება თქმულისა არ შედის მათს ანგარიშშითქო!

ოცდახუთი საუკუნეა რაც ქართველებს და სომხებს ერთმანეთთან საქმე გვქონია, გვაქვს და გვექნება კიდეც. არც ერთს მეზობელს მეორე, განსხვავებულის მოდგმის, ენისა და ტიპიკონისა, ისე არ დაუახლოვებია და შეუთვისებია, როგორც ქართველმა დაიახლოვა დ̃ შეითვისა სომეხი. ჩვენ გვაქვს სომხებთან საერთო თაყვანსაცემი წმიდა ადგილები: მცხეთა, წმიდა ვაზის ჯვარი, ალავერდი (ქართველების), ხატის თელეთი, ფეთხაინი, კრწანისი (სომხების) და სხვ., გვყავს საერთო წმიდა მოციქულთ თანასწორი შუშანიკი, გვაქვს ქართლ-კახეთში საერთო ენაც—ქართული, რომელზედაც ლაპარაკობს ყველა გორელი და კახელი სომეხი. გარდა ამისა იშვიათად შეხვდებით ტფილისის გუბერნიაში, მეტადრე თავად-აზნაურობაში ისეთს ოჯახს, რომ სომხებთან რაიმე ნათესაობა, ანუ ნათელმირონობა არა ჰქონდეს. ერთის სიტყვით არ დარჩენილა არც ერთი ისეთი მხარე მეზობლურ-ოჯახობრივის განწყობილებისა, რომ ქართველი და სომეხი ერთმანეთს არ შეეთვისებოდეს...

რაც შეეხება ცხოვრების სოციალ-ეკონომიურ მხარეს, მართალია აქ გვაქვს და კიდევ გვექნება სადავო რამ, ზოგს საგანში ეროვნულს ნიადაგზედაც, მაგრამ ეს არის ჩვენი **საშინაო დავა**, რომლის არც დაწყება გვეკითხავს პალმებისთვის და არც მისს გადასაწყვეტად ჩავირევთ, თუ ჩვენს ნებაზე იქმნა, სხვებს: ჩვენ თავად გამოვრიგდებით ერთმანეთში. ამ გამორიგებას უფრო გაგვიადვილებს საერობო დაწესებულების შემოღება, რადგანაც მაშინ ორთავეს უფრო მეტი საშუალება გვექნება დავწინაურდეთ (შედარებით) ეკონომიურად, გონებრივად დ̃ ზნეობრივად, ერთის სიტყვით ყოველ იმ მხრივ, რაც საჭიროა აქაურ ერთა შორის სადავო საქმეების მშვიდობიანად მოსაგვარებლად,..

ყოველს შემთხვევაში, ვინ უნდა იცოდეს უკეთ ქართველ და სომეხ მებატონეთა შორის მტრობის არსებობა, თუ არა თვით ქართველ და სომეხ მებატონეებმა, რომელთა კრებამ *) არა ერთგზის დაადგინა: ეთხოვოს მმართებლობას ნაფიც მსაჯულთა და საერობო დაწესებულებათა ტფილისის გუბერნიაში შემოღებაო. ერთმანეთის მტრები რომ ყოფილიყვნენ, ერთმანეთის წარმატების წინააღმდეგნიც იქმნებოდნენ და მაშინ რაღათ ითხოვდნენ ისე ერთი სულითა და ერთი გულით ნაფიც მსაჯულებს და ერობას, ამ საუკეთესო საშუალებათა ჩვენისთანა მდგომარეობაში მყოფ ხალხების წარმატებისათვის?

არა თუ მშვიდობიან, მეზობელს ხალხებს მშვიდობიანობის დროს, არამედ თვით მტრებსაც ომიანობის დროს აქვთ საერთო საჭიროება (მაგალითად სანიტარულ-ჰიგიენური მხარე) და რა გასაკვირველია, რომ ერთს პოლიტიკურს საზღვრებში მოქცეულ ტერიტორიაზე დაბინავებულ ქართველებს, თათრებს და სომხებს, მთელი საუკუნოებით ერთმანეთში შეგუვებულებს, ბევრი რამ გვაქვს **საერთო**, საერთო ღონისძიებითვე მისაღწევი, და მათ შორის უპირველესად—ეს საერობო და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტები.

ეს სწამს და სჯერა ყველას, ვისაც-კი ჩვენი ავი და კარგი აინტერესებს, ვისაც ჩვენი ცხოვრება მეტ-ნაკლებად მაინც გაუცვნია. თვით საუკეთესო ნაწილმა რუსეთის მწერლობისამ თავის დროზედ მხარი დაუჭირა ჩვენს განაჩენებს ხსენებულ დაწესებულებათა გამოთხოვის შესახებ. ხოლო ის ვაჟბატონები-კი, რომელთა ცილის-წამებათა გამო ამას ვსწერთ, ხელმძღვანელობენ არა სიმართლის პრინციპებით და სწერენ არა სინამდვილის გამოსარკვევად, არამედ სულ სხვა ქვენა გრძნობებითა და მისწრაფებებით... კიდევ მადლობა ღმერთს, რომ ჩვენი თხოვნების დაკმაყოფილება ნაფიცთ მსაჯულთა და ერობის შესახებ იმდენად ეკითხებათ ამ ჯურის ვაჟბატონებს, რამდენადაც ინგლის-ბურების მორიგება მე და შენ, მკითხველო.

თ. მაგმაძე.

---

*) თავად-აზნაურთა კრება მხოლოდ მებატონეებისაგან შესდგება და გრიგორიანთ სარწმუნოების თავად-აზნაურების ხმა თითქმის $^{1}/_{3}$ შეადგენს ტფილისის გუბერნიის აზნაურთა კრებაში.

ლისის, ჰოლანდიის, იტალიის, შვეიცარიის და ავსტრიისა.

ამის შემდეგ მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა საფრანგეთის სახელოვანმა სოციალისტ-დეპუტატმა ჟორესმა: „ევროპაც დამნაშავეა სომხების აკლება-აოხრებაშიო. ევროპა ავაზაკი იქმნება, თუ ახლაც არ ჩაერია მათს საქმეშიო. ჩვენ ის ხომ არ გვწადიან, რომ ეს თუ ის სახელმწიფო აღიგავოს დედა-მიწის ზურგიდან; ჩვენ გვინდა მხოლოდ ის, რომ ევროპის სახელმწიფოებმა ერთად შეთანხმებულ მოქმედებით სომხებს მფარველობა და შველა გაუწიონ. სომხების გარდა არსებობს კიდევ ფინლანდია, შლეზვიგი, ელზას-ლოთარენი, რომლებიც სამშობლოს არიან მოწყვეტილნი; სომეხთ გულისთვის ჩვენ იმდენადვე არ გვწადიან ომის აშლა, რამდენადაც ფინლანდიისა და ელზას-ლოთარენისათვის, რადგან აღთქმულ (ბერლინის ტრაკტატის მე-61 მუხლი) პირობის აღსასრულებლად საჭიროა მხოლოდ მტკიცედ შეერთებული მოქმედება საზოგადოების და მთავრობისა“.

ზოგიერთ სხვათა სიტყვის წარმოთქმის შემდეგ კონგრესმა დაადგინა შემდეგი განაჩენი: „კონგრესი დარწმუნებულია, რომ რეფორმების შემოღება და მშვიდობიანობის დამყარება სომხეთში შესაძლოა ისე, რომ ოსმალეთს არავითარი ტერიტორიული ვნება არ მიეცეს. ეს რეფორმები და მშვიდობიანობა ოსმალოს მაჰმადიანობისათვისაც დიდად სასარგებლოა, ამიტომ მათაც უნდა ხელი შეუწყონ ამის შემოღებასა და დამყარებასა.

კონგრესი იგონებს მე-61 მუხლს ბერლინის ტრაკტატისას, სადაც მოხსენებულია: „ოსმალეთის მთავრობა პირობას სდებს, რომ დაუყოვნებლივ შეუდგება რეფორმების შემოღებას და ცხოვრების პირობათა გაუმჯობესობას იქ, სადაც სომხობა მოსახლეობს; დაიცავს მათი კეთილ-მდგომარეობა ჩერქეზ-თურქებისაგან; ამ რეფორმების და სხვა ზომათა შემოღებაზე ოსმალეთი ვალდებულია დროგამოშვებით აცნობოს ევროპიის მმართებლობასა“.

რადგან ამ მუხლით ევროპამ სცნო, რომ მოვალეა მიანიჭოს სომხებს მშვიდობიანობა, ცხოვრების საჭირო შეღავათი; ქონების სიმკვიდრე და სარწმუნოების თავისუფლება, ამიტომ კონგრესი აცხადებს, რომ დროა ახლა მაინც მიეცეს ამ მუხლს განხორციელება და კანონიერი აღსრულება ევროპიის სადიდებლად და კაცობრიობის დასაცველად. კონგრესი იწვევს ევროპიის საზოგადოებას და მის მთავრობას საერთო მოქმედებისთვის ამ მუხლის აღსასრულებლად და ავალებს თავისს კომისიას იღვაწოს ამის მისაღწევად პარლამენტების, ჟურნალ-გაზეთების და მთელ ევროპიის საზოგადოების წინაშე“.

ამის შემდეგ ილაპარაკა ფ. პრესანსემ იმის შესახებ, რომ აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ევროპიელ სახელმწიფოთა კონსულების გამრავლება მცირე აზიაში სომეხთ შორისო.

Pro Armenia-ს რედაქტორმა ახალი წინადადება წარუდგინა კრებას: კონგრესს იმედი აქვს, რომ ყველა მისს გარდაწყვეტილებას გამოაქვეყნებს ევროპიელი ჟურნალ-გაზეთობა და მასთან ყოველთვის ადგილს დაუთმობს თავისს ფურცლებზე სომხეთიდან მოსულ ამბებს, რათა მათი გამოქვეყნებით საჭირო გავლენა იქონიონ მკითხველ საზოგადოებაზე.

ქალბატონი სევერინი თხოულობს, რომ არჩეულ კომისიას დაევალოს, სხვათა შორის, თვალ-ყური ადევნოს ევროპიელ ჟურნალ-გაზეთობას და შეადგინოს სია იმის საჩვენებლად, თუ სომხების ამბებს განგებ ვინ უყრუებს ყურს და არ აცნობებს თვისს მკითხველებს.

ეს სია წარედგინება მომავალის წლის კონგრესს, შესარცხვენად ყველა იმათი, ვინც მხარს არ უჭერს სომხობასაო. ეს წინადადებაც მიღებულ იქმნა კონგრესისაგან.

დასასრულ, კრებამ დაადგინა ბრიუსელი იყოს არჩეული იმ ქალაქად, სადაც მისს კომისიას ბინა ექნება და სადაც უნდა მოხდეს მომავალს წელს მეორე კონგრესი.

ა. კვერ—ძე.

—

ინგლისი. სპარსეთის შაჰის ლონდონს მისვლას ინგლისურ გაზეთთა უმრავლესობა იმითა ხსნის, რომ სპარსეთსა და ინგლის საპოლიტიკო საკითხებში ბევრი რამა აქვთ საერთოო.

გაზ. „Times“ ადარებს რუსეთის მდგომარეობას ჩრდილოეთ სპარსეთში ინგლისისას—სამხრეთ სპარსეთში, და იმ აზრს გამოსთქვამს, რომ ამ ორ ერთა ეკონომიური მეტოქეობა ისე არაოდეს არ გამწვავდება, რომ რაიმე შეტაკება გამოიწვიოსო: რუსეთისა და ინგლისის შეჯიბრება თითქმის აუცილებლად საჭიროა სპარსეთის განვითარებისათვისაო.

ბულგარია. სოფიიდგან ატყობინებენ „Berl. Tagebl.“-ს, ხუთმეტი მასწავლებელი და მოხელე, რომელნიც სახელმწიფო სამსახურში ირიცხებოდნენ, დაითხოვეს სამსახურიდგან იმისათვის, რომ, წინააღმდეგ მთავრობის განკარგულებისა, მაკედონიის კონგრესში მიიღეს მონაწილეობაო.

შუა-ამერიკა. გერმანიას, ინგლისსა და საფრანგეთს აგვისტოს 20 (ახ. სტ.) წინააღმდეგობა განუცხადებიათ ვენეცუელის ნავთსადგურებისათვის ყუმბარის დაშენის გამო. ვენეცუელას მეორე დღესვე ე. ი. 21 აგვისტოს უნდა შემოეთვალა პასუხი, მაგრამ ჯერ არავითარი ცნობა მოსულა ამის შესახებ.

აბაშეთი. გაზეთ „Anahit“-ს ატყობინებენ ჯიბუტიდგან, რომ სომხებს თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ აბაშეთშიო. პირველად ვერცხლის ფული აბაშეთში სომეხმა მინასამ მოსჭრაო. სომეხმავე სტეფანიანცმა ჩამოასხა პირველად სანთელი ნეგუსისათვისო. პირველი სახელ-საქმო სკოლა ჰარრარში სომხის ქალმა დააარსაო. აბაშეთის ორდენების მკეთებელი ოქრომჭედელიც სომეხიაო. მენელიკის მზარეული და მებაღეც-კი სომხები არიანო. გარდა ამისა აბაშეთში მრავლად არიან სომხის ვაჭრები, თერძები, დურგლები, მჭედლები, ხარაზები, მეპურეები და მიწის მუშებიც-კიაო.

წმ. ელენეს კუნძული. როგორც „ვოლფის სააგენტო“ იუწყება, აგვისტოს 7 (ახ. სტ.) ელენეს კუნძულიდან სამხრეთ-აფრიკას გამგზავრებულა 997 ტყვე ბური, მათ შორის გენერალი კრონიეც თავის მეუღლით.

სხვა-და-სხვა წერილები

მცირე რამ

უხვი ბუნება სამოთხესავით,
თვალ-წარმტაცი არე-მარე წალკოტივით,
ათას-ფერად აბიბინებული კორდი, ველი,
კამკამი წყლები სარწყავად...
ღარიბი ხალხი გლახაკივით,
დაძაბუნებული სახლები ყველგან,
გაძარცული ეზო-ყურე, კარმიდამო,
მამულები მოუვლელი, მოურწყავი,
მუშაკნი ჩაუცმელი, დაფლასული...
ასეა ჩვენში.
მწირი ბუნება უდაბნოსავით,
გულ-საკლავი არე-მარე ყინულივით,
ქვა-კონცხებით მოფენილი კორდი, ველი,
ხრამად მომდინარე წყლები...
ერი მდიდარი, ქონებიერი,
სახლები კოხტა, შვენიერი,
სუფთა ეზო-ყურე, კარმიდამო,
მამულები მოვლილი, მორწყული,
მუშა-კაცი ჩაცმული, დახურული...
ასეა ბევრგან სხვაგან.

რად არის ესრე სხვაგან? იმიტომ, რომ იქ **ყველანი** ირჯებიან, ქალიცა და კაციც, ყრმაცა და ბერიც, იღვწიან დაუღალავად, შრომობენ დილით ბინდამდე, დღესაც და ხვალაც; ცისმარე დღესაც და მარადისაც.

ჩვენში თუ კაცი მუშაობს, ქალი ისვენებს, როგორც, მაგალ., ჩვენს ზოგიერთს სოფლებში; თუ ქალი მუშაობს, ირჯება, კაცი უმეტეს ნაწილად უმაქნისობს, როგორც, მაგალ., ხევსურეთში...

არ იქნება შეცდომა, რომ ვსთქვათ: ჩვენში მუშაობს იმდენი კაცი მხოლოდ, რამდენიც ოჯახია, და არა იმდენი, რამდენიც მოზრდილი სულია ყოველს კომლში. და რადგან ქართველი სულ ორ მილიონამდე ითვლება და, მაშასადამე, დაახლოვებით 400.000 ოჯახამდე იქნება, გამოდის, რომ ჩვენში მუშაობს მხოლოდ ოთხასათასამდე კაცი, გარნა ნამდვილად მუშა ხელი ამდენიც არ არის. რამდენია ჩვენში ისეთი, რომელსაც მუშაობა და საქმის კეთება სამარცხვინო საქმედ მიაჩნია, მხოლოდ გლეხის კერძ-წილი ჰგონია. აი, ამ აბუჩად აგდებულ გლეხის მარჯვენა ჰკვებავს ყველას: თავის ბეჩავ თავსაც, მისს ცოლ-შვილსაც და ყოველ გვარ და ყოველნაირ დო-ყლაპიასაც... რომელი ერთი გამოაძღოს და გამოჰკვებოს გლეხის დალოცვილმა მარჯვენამ? რა ჰქნას მარტო-ხელმა, როდესაც მისს მონაგარს გაუმაძღარ წიწილებივით ესევიან ყოვლის მხრიდგან და სცდილობენ პირიდგან გამოაცალონ უკანასკნელი ლუკმაცკი?..

ტყუილად უსაყვედურებენ ქართველს, გარჯა, მუშაობა არ იცისო.

ქართველი, გინდ მამაკაცი იყოს, გინდ დედაკაცი, თუ მუშაობს, მუშაობს ღონიერად, სამაგალითოდ. თუ ესრეთი ღონიერი მუშაობა არ სცოდნოდა ქართველს, როგორ გამოჰკვებავდა თავისიან უმაქნისებსაც და გარმიანეთიდგან მოსულებსაც, და ამ უმაქნისებისა და გარმიანელების რიცხვი ხომ ჩვენში უამრავია?

დიაღ, ქართველმა კაცმაც იცის მუშაობა, ოფლის წურვა, გარნა როგორც შევნიშნეთ, არა ყველამ. ჩვენშიაც რომ ყველას ემუშავნა ძმურად, ხალისიანად, აღარ გვეთქმოდა, ღარიბნი ვართო: ჩვენი ქოხებიც კოპწია სახლებად იქცეოდა, ჩვენი მამულ-დედულიც მოირწყოდა, მოშენდებოდა, ჩვენი კარმიდამოც დამშვენდებოდა, ჩვენი ოჯახიც მოიკაზმებოდა...

თქმულა: ხმა ერისა—ხმა ღვთისაო. ერის ხმა, მისი საქმე ზეციერის შემძლებლობისად დასახულია. უნდა ვეცადნეთ, საქართველო კიდით-კიდემდე ერთ მომქმედ და მოჰირნახულე ძალად იქცეს, ყველა ერთისთვის და თითოეული ყველასთვის იღვწოდეს დაუღალავად, დაუზარებლად...

გარჯა, საერთო და საყოველთაო გარჯა ჩვენი გულითადი მისწრაფებაა.

ნუ ვართ ბატონები და გლეხები, წმინდა სისხლიანები და უწმინდა სისხლი, ამერლები და იმერლები, მესხები და მეგრელები... ვიყოთ მხოლოდ კეთილად მზრუნავი ქართველები, ტურფა სამშობლოს დამამშვენებელნი, ფუტკარივით გამრჯე, მუშაკნი.

—

ქართული მწიგნობრობის საქმე ბათომში. მეტი არ იქმნება, რომ მოკლედ მოგახსენოთ, თუ ბათომში რა მდგომარეობაშია ქართული მწიგნობრობის საქმე. ამის გაცნობა ჩვენთვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს, რადგანაც იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული არა მარტო ადგილობრივ წვრილთა უმეტეს ნაწილის გონებით და ზნეობით ზრდასთან, არამედ მთელს ქართველ გამომცემლობასთანაც და, უკეთ რომ ვსთქვათ, მთელ მწერლობასთანაც.

ბათომის შემოერთების შემდეგ ქართველთ უმთავრეს ნატვრას შეადგენდა შემდეგი: ბათუმში ქართული სასწავლებლის გახსნა, ქართული წერა-კითხვის გავრცელება, ქართული მწიგნობრობის მოფენა, ქართული წიგნის მაღაზიის გახსნა, ქართულ მაჯის ცემანი საზოგადოებრივი ძალის გაჩენა. დროთა მიმდინარეობის მეოხებით ბათუმში ქართველნი უკვე მოესწრნენ ზოგ რამ სანუკარ საქმეთა აღორძინებას. გაგვეხსნა სკოლა, გაჩნდა იმერთ ვაჭრობა, მრეწველობა და სხვანი, რაც-კი კაცის თვალს ახარებს და ასიამოვნებს.

ქართველ ვაჭართა, ხელოსანთ და მუშათა სიმრავლემაც ცხადად დაგვანახვა ქართული წიგნების სავაჭროს დაარსება და მით წიგნების გავრცელება. ორმა ქართველმა, სახელდობრ ბესარიონ და გერონტი კალანდაძეებმა, ბათუმში ქართული წიგნების პავილონი გააკეთეს, შეკრიბეს ყველა ქართული წიგნები და დროის შესაფერად ყველას წინ უძღვებოდნენ: წიგნებს ავრცელებდნენ ხელოსნებში, ქარხნის მუშეპში, ვაჭრებში და მოხელეებშიაც.

ქართული მწიგნობრობის საქმე მეტად ჩინებულად მიჰყავდათ და მარტო ჩვენის წარჩინებული მწერლების ნაწერებს ასობით და ორასობით ასაღებდნენ: ყაზბეგის ნაწერები, აკაკის, ჭავჭავაძისა და სხვათა მოკლე დროში რამდენ-რამდენიმე ასობით გავრცელდა. შესანიშნავად მიჰყავდათ საქმე და მათს პავილონში თითქმის ყველა ქართულ წიგნს ნახავდით. ამათ უმთავრეს ღირსებას ერთი ისიც შეადგენდა, რომ იგინი ქართული წიგნების ფულს გამომცემლებს და მწერლებს მალე უსწორდებოდნენ, სუფთად, თავაზიანად და მასთან ზომიერ სარგებელსაც იღებდნენ.

ასე სამაგალითოდ მიჰყავდათ ხსენებულ პირებს ქართული მწიგნობრობის საქმე. მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, ჩვენი ქართველების ბედი. ხსენებული კალანდაძეები საქართველო მუშაობისაგან ძლიერ დასუსტდნენ, ჯანში ჩნდებოდა შეეპარათ და ორივ უდროვოდ გარდაიცვალნენ და მათის გარდაცვალებით მოისპო ქართული წიგნების ბინაც. მას შემდეგ, ბათუმში, ქართული მწერლობის საქმეს თითქმის მზე დაუბნელდა, თითქმის მისწყდა მის ცხოველ-მყოფელ შუქის ხილვა, თუმცა, რაც დრო გადიოდა, მით ქართული წიგნების მომთხოვნელთა რიცხვი ერთი ათად მატულობდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ, ბათუმში გადმოვიდა ჩვენი ცნობილი მესტამბე და გამომცემელი კოწია თავართქილაძე და აქაც გახსნა წიგნის მაღაზია და სტამბა. უნდა ითქვას, რომ კ. თავართქილაძეც შესაფერად ასრულებდა თავის ვალს და ბათუმში ქართული მწიგნობრობის აღორძინების საქმესაც დიდს ქომაგობას უწევდა. გარდა ამისა იგი სასიხარულო მოვლენა იყო მითაც, რადგანაც მისი სტამბა, როგორც ქართული სტამბა, პირველი მაგალითი იყო ბათუმში და მეორე,—ბათუმში, პირველად ქართული წიგნები ამ სტამბაში გამოიცა. ბათუმში პირველად დაბეჭდილი წიგნი ფ. ხუსკივაძის მოთხრობა და თვით სტამბის საქმეც „კვალში“ გვქონდა ვრცლად აწერილი. ბათუმში დაბეჭდილი ქართული წიგნების ხილვა ყველას ახლიერებდა, ახარებდა, ყველას ემჩნეოდა სიამოვნება, რომ აქამდე თუ ქართველთ სტამბა გვქონდეს ტფილისსა და ქუთაისში ახლა ბათუმშიაც დაგვიარსდაო. ეს უკანასკნელი ამბავი-კი მით იყო სანუკარი, რომ აქაურ სტამბის შემწეობით მოველოდით რომ იგი დასავლეთ საქართველოშიაც შეიტანდა განათლებას, აქაურ ქართველობის ოჯახებშიაც შეაშუქებდა ნათელს სხივს; ცხოვრების გამაცისკროვნებელ ძალას, დიდ მოქალაქეობის განმტკიცების ნიადაგს, ქართველების და საქართველოს ცნობას, მის მერმისს და შემმარტ სიყვარულის აღდგენას.

ასე იყო საქმე და ასე ვფიქრობთ ქართული სტამბის წარმატების მნიშვნელობაზე დღესაც. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ამ უკანასკნელ დროს კალანდაძეების მსგავსად, ხსენებულ კ. თავართქილაძის სტამბა და წიგნის მაღაზიაც მოიშალა და ტფილისში იქმნა გადმოტანილი. მიზეზი გადმოტანისა ჩვენ არ ვიცით და იმას-კი დავსძენთ, რომ ბათუმში ქართული წიგნების საბეჭდავი სტამბის და წიგნის მაღაზიის მოშლა უნდა იქმნეს დიდად საგრძნობელი და მასთან სამწუხაროც. განა შეიძლება ისეთი სტამბის დახურვის ატანა ადვილად, სადაც დაიბეჭდა ტისანდე, ანდერსენი, ნინოშვილი და მრავალიც სხვანი. მე-კი დიდ დასაკლისად მიმაჩნია და სხვებისა-კი რა მოგახსენოთ.

დღეს, მართალია ბათუმში რამდენიმე წიგნის მაღაზია არსებობს, მაგრამ ვერც ერთ მაღაზიაში თქვენ ვერ ნახავთ ქართულ რიგიან წიგნს, ჩვენი კარგის მწერლების ხსენება ხომ აქ სულ არ არის; ერთის სიტყვით, მთელს ბათუმში, სადაც ქართველთ რიცხვი თითქმის ნახევარ ბათუმის მცხოვრებზედ მეტია, თქვენ ვერ ნახავთ ქართულ წიგნების საწყობს: ქართულ წიგნს, მთელი კვირა რომ სძებნოთ, ერთს წიგნს ვერ იპოვნით, აქა-იქ შეხვდებით ზოგიერთ წვრილ, უმსწურ გამოცემებს, მაგალითებრ ავაზიანის გამოცემებს, ახსატლდოვის, ფემბაკელოვის, ზარქაროვის, ზარიძის და სხვა ასეთ უმსგავსოებს.

ბათუმის ვაჭრებსა და ხელოსნებში აქა-იქ ყოფნა მომიხდა და ყველგან მწუხარებას აცხადებდნენ ქართული მწიგნობრობის ასეთ მდგომარეობაზედ. ყველგან მავალებენ, ეგები ესა და ეს ქართული წიგნები გვიშოვნო და ფას-დადებით გამოგვიგზავნოო. ხშირად ითხოვენ ჩვენს მოწინავე მწერლების ნაწერებს, თარგმანებს და ისტორიულ წიგნებს. ასეთ პირთა დავალებას კაცი თითქმის ყოველ კუთხის ქართველებში ნახავს. ცხადი საქმეა, რომ სადაც ასეთი მოთხოვნილება იმის წიგნებისა, იქ მას გასავალიც ექმნება, თუ-კი, რასაკვირველია, გულშემატკივარი პატრონი გამოუჩნდება და ქართულ მწიგნობრობას და თვით საზოგადოებასაც სამსახურს გაუწევს, და ვარწმუნებთ, რომ იგინი არც თვით იზარალებენ.

დღევანდელ ერთის ქართულის წიგნების მაღაზიაში ფრანგული, ნემეცური, ინგლისური და რუსულ წიგნებს გარდა ქართული წიგნები არ არის. საჭიროა გვქონდეს ბათუმში წიგნის სავაჭრო და გვყავდეს დამტარებელი. აქაც, როგორც ტფილისსა და ქუთაისის კიოსკი უნდა გაკეთდეს და უსათუოდ ამაზედ ზრუნვა უნდა იკისროს ბათომის ქართველ ინტელიგენციამ.

დღეის შემდეგ ბათომში, უმთავრესს ქართულ სტამბათ კ. და მის ამხანაგის სტამბა უნდა ჩაითვალოს, სადაც ქართული წიგნებიც იბეჭდება.

ზ. კ.

თეატრი და ხელოვნება

ცხინვალი. აგვისტოს 10-ს დ. ცხინვალში კნ. ე. ი. მაჩაბლისა და ა. ფ. პოპოვის თაოსნობით გაუმართავთ ქართულ-რუსული წარმოდგენა და იმდენად მწყობრად და მოხდენილად ჩაუტარებიათ, რომ სწორედ, იშვიათ მოვლენად უნდა ჩაითვალოს პროვინციების წარმოდგენათა შორის. უთამაშნიათ ქართულად **„დროებითი ხიყვარული“** და რუსულად „Синяя борода“; სცენის მოყვარულთ ისეთის ხელოვნებით უთამაშნიათ, რომ კარგ გამოცდილ არტისტებს არ ჩამოუვარდებოდნენ თურმე. „ტფილისში ხშირათ ვესწრები ხოლმე ქართულს და რუსულს წარმოდგენებს, გვწერს ერთი თბილისელი თეატრის მოყვარული, და ისეთი სიამოვნება იშვიათად მიგრძვნია, როგორიც 10 აგვისტოს ცხინვალის წარმოდგენის დროს. დავიწყებ ზ. მაჩაბლიდამ, რომელმაც მართლა რომ არტისტიულათ შეასრულა დიმ. აკლდამაძის როლი, და გადავალ სხვა, უფრო გამოუცდელ მონაწილეთა თამაშზე. საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება ძიიქცია ქ-ნთ ნ. და მ. ბარათაშვილის ასულთა უნაკლულო თამაშობამ; აგრეთვე კარგები იყვნენ სალომე სულხანიშვილი, თ. ვ. მაჩაბელი და ნ. იარალოვისა, ბ-ნნი გ. ვ. მაჩაბელი, ი. ზ. მაჩაბელი, ი. ა. მაჩაბელი, ფ. კარპოვი და ი. ფანიევი-ერთის სიტყვით ყველას ეტყობოდა, რომ საქმეს მუყაითად და სიყვარულით მოჰკიდებოდა. ჭეშმარიტად დიდის მადლობის ღირსია კნ. ელისაბედ მაჩაბლისა და ცხინვალის მომრიგებელ-მოსამართლის მეუღლე ქ. ა. ფ. პოპოვისა, რომელთა მეცადინეობითაც გაიმართა ცხინვალში ეს სამაგალითო წარმოდგენა, რომელსაც ხალხი ბლომად დაესწრო. ამბობენ, კიდევ აპირობენ წარმოდგენის გამართვასაო“.

—

აგვისტოს რვას თელავში გაიმართა კონცერტი ბატონ ი. მონადიროვის ლოტბარობით. სანამ თვით კონცერტზედ ვიტყოდე რასმეს, არ შემიძლიან არ აღვნიშნო, რომ დამსწრე საზოგადოების $^3/_4$ მეტს ქალები შეადგენდნენ. ესეთ ითქმის მომღერალთა გუნდის შესახებაც: აქაც ქალების რიცხვი გაცილებით სჭარბობდა ვაჟებისას. რით უნდა აიხსნას ეს? მართალია, პსიხოლოგია გვეუბნება, ქალები უფრო გრძნობით სცოცხლობენ, ვიდრე გონებით და მაშასადამე მათი მუსიკისადმი ლტოლვილება უფრო ... უნდა იყოს, მაგრამ ნუ თუ ამ მხრივ თელაველი ემაწვილკაცობა ისე ჩამორჩა ქალებს, რომ სუსტი მეტოქეობის გაწევაც არ შეუძლიან? ვიმედოვნებ რომ თელაველი ახალგაზრდობა შემდეგში მაინც დაამტკიცებს, რომ ეს მოსაზრება უსაფუძვლო ცილის წამებაა და სხვა არაფერი.

კონცერტმა, საზოგადოების აზრით „ჩინებულად“ ჩაიარა. ამას ამტკიცებდა აუარებელი ტაშის კვრა და „ბრავოს“ ძახილი.

ამ კონცერტში თელავის საზოგადოებამ პირველად გაიგონა სრულიად ახალი სიმღერა: „დათვის წვეულება“, რომელიც ბ. მონადიროვის მუსიკალური შემოქმედებითი ნიჭის ნაყოფს შეადგენს. უნდა ვსთქვა, რომ დასახელებული სიმღერა მშვენივრად არის გადაღებული, რის გამოც ბ-ნი მონადიროვი დიდი მადლობის ღირსია, მაგრამ, სამწუხაროდ, ისიც უნდა ითქვას, რომ ეს სიმღერა ვერ შეასრულეს ისე, როგორც სიმღერის დედა-აზრი მოითხოვდა. ხმების შეუწყობლობა ხომ აქ უფრო შესამჩნევი იყო.

ვ. მჭარიაშვილი.

—

თელავი. თელავმა ბევრით წინ გაუსწრო სხვა პატარა ქალაქებს მგ. გორს, სიღნაღს და სხვ.

თელავს აქვს ბიბლიოთეკა, სცენა, სადაც თითქმის კვირაში ორჯელ-სამჯერ წარმოდგენები იმართება. იმართება აგრეთვე საბავშვო წარმოდგენები (ამ ზაფხულს ორი იყო) და საბავშვო საღამოები და სადამოც-კი იყო გამართული ცოცხალის სურათებით. ეხლა სამი გუნდი ახალგაზრდობისა ჰმართავს აქ წარმოდგენებს; ერთი სახალხო თეატრში, მეორე სხვა ადგილას და მესამე გუნდი-კი ახლო-მახლო სოფლებში ჰმართავს წარმოდგენებს. ამ უკანასკნელ გუნდის გარდა ორი გუნდი მხოლოდ საქველ-მოქმედო აზრით ჰმართავს წარმოდგენებს და მით უფრო სიმპატიური მოქმედება ამ ახალგაზრდათა.

ისე ერთგულად, ისეთის ენერგიით ეკიდებიან იგინი ამ საქმეს, რომ თითქმის ყოველი წარმოდგენა, სავსეა მაყურებლით და მასთან საზოგადოება მუდამ კმაყოფილი რჩება წარმოდგენებით.

ყველაზედ ხშირად-კი სახალხო თეატრის სცენის მოყვარენი მართავენ წარმოდგენას: ყოველ კვირას და უქმე დღეს.

კიდევ ერთი ფრიად სიმპატიური ნაბიჯი წადგა წინ თელავმა. სახელდობრ: ახალგაზრდობამ მოიწვია საზოგადოება და განუზიარა თვისი სურვილი მუდმივი სახალხო თეატრის დაარსებისა. საზოგადოებამ ეს აზრი სასარგებლოდ სცნო და ამოირჩია კომისია (9 კაცისაგან) და დაავალა წესდების შემუშავება. ერთის კვირის განმავლობაში ამ კომისიამ შეიმუშავა წესდება სახალხო თეატრის (და კერძოთ გამგეობის) მოქმედებისა და წარუდგინა საზოგადო კრებას. კრებამ ცოტაოდენის დამატებისა და შესწორების შემდეგ მოიწონა ეს წესდება და ამ ცოტა ხანში იქნება დასამტკიცებლად გაგზავნილი სადაც ჯერ არს. მეორე კრებაზედვე ამოირჩია 1 წლის ვადით საზოგადო კრებამ გამგეობა სახალხო თეატრის (სხვათა შორის სახალხო კითხვების) პატრონობისათვის ცხრა კაცი და სამიც სარევიზიო კომისიის წევრებად, რომელთაც წელიწადში რამდენჯერმე უნდა გასინჯონ, სახ. თეატრის (საქმეები) მოქმედება და საზოგადო კრებას მოახსენონ ყოველ წლის ბოლოს. აგრეთვე ამორჩეული იყო რამდენიმე კაცი „სამზრუნველო კომიტეტში“, რომელმაც მატერიალური დახმარება უნდა გაუწიოს თეატრს და სახალხო კითხვებს. დამსწრე საზოგადოება ყველა წევრად ჩაეწერა (საწევრო ფული 60 კაპ. წელიწადში) და ამ რიგად დაარსდა „საზოგადოება სახალხო თეატრისა“.

ახალ-გაზრდობა უკვე შეუდგა წარმოდგენების მართვას და სექტემბრიდან სახალხო კითხვებსაც გაჰმართავს. ამ საქმეს თელაველები დიდის აღტაცებით მიეგებნენ და ვუსურვებთ, ეს აღტაცება და თანაგრძნობა სამუდამო იყოს და ხანგრძლივი. ტფილისის სახალხო თეატრის მოვალეობაა ამ პატარა თავის ძმას შემწეობა და დახმარება გაუწიოს, როგორც გამოცდილმა უფროსმა ძმამ, პიესებით და სხვა მხრივ, რითაც-კი შეიძლებს.

ამ წარმოდგენებს მოჰყვა კონცერტი ი. მონადირიშვილისა, რომელიც იყო გამართული ამ თვის 8-ს ლადო აღნიაშვილის სასარგებლოდ.

კონცერტმა ერთობ ჩინებულად ჩაიარა, მომღერლებს ეტყობოდათ, რომ ლოტბარს ერთგულად მოუკიდნია ხელი მათდა მოსამზადებლად. ყოველი სიმღერა მწყობრად და ტკბილად იყო თქმული. საზოგადოება მეტად ნასიამოვნები დარჩა კონცერტით და სიმღერები (მომეტებული ნაწილი) რამდენჯერმე ტაშის კვრით და ვაშას ძახილით გაამეორებინა. მიართვეს ი. მონადირიშვილს ცოცხალი ყვავილებისაგან გაკეთებული ლირა. სთქვეს რვა სიმღერა რუსულ-ქართული, სხვათა-შორის: დათვის წვეულება“, „სამშობლო“ კარაევისა, „ერთხელ ვიხილე“ და სხვ.

ტფილისიდამ მოწვეული იყო ბ-ნი სურამელი, რომელმაც დაუკრა სკრიპკაზედ; ეს ახალგაზრდა დიდის დაკვირვებით უკრავდა და აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება. გამოწვეულ იყო გასამეორებლად დიდის ყიჟინით, ყოველივე დაკრული ორჯელ გაამეორებინეს.

კარგადვე დაუკრა სკრიპკაზედ ქ—ა შიუკაშვილმა ა. სურამელთან ერთად (დუეტი), რიალზედ დაუკრა რამდენიმე ხმა კნ. ნ. ზ. ჯორჯაძისამ, რომელმაც კარგად შეასრულა ყველა ნომერი, და რომელსაც მიართვეს თაიგული.

კონცერტის ბოლოს გაიმართა ცეკვა, რომელმაც გასტანა გათენების 4 საათამდის.

კონცერტის გამგედ ბრძანდებოდა ქ-ნი თეკლე ცისკარაშვილისა, რომელმაც შრომა მიიღო და წესიერად მოაწყო ეს საღამო.

შემოსავალი სრული იყო. კლუბის დარბაზი სავსე იყო და მასთან მიდგმული სკამებიც ბევრი.

ბ-ნი ი. მონადირიშვილი ყოველ წლივ ჰმართავს ხოლმე საქველ-მოქმედო მიზნით კონცერტებს და წელსაც ამოირჩა სიმპატიური საქველმოქმედო საქმე: დახმარება ლადო აღნიაშვილისა, რომელსაც მიუძღვის ქართ. საზოგადოების წინაშე არა-მცირედი ღვაწლი და რომელიც ასე მიივიწყა ქართველმა საზოგადოებამ.

ან—სან.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

14 აგვისტო

ცარსკოე-სელო. 14 აგვისტოს მობრძანდნენ მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე და მისი მეუღლე.

ხარკოვი. უსპენსკის იარმურკა გაიხსნა.

ხარბინი. ხოლერობას 40 დღის განმავლობაში მოკვდა 250 ევროპიელი და 807 ჩინელი. ეხლა ავად-გახდომა იშვიათია.

სარატოვი. ქალაქის მმართველობა შუამდგომლობს, რომ გადაეცეს მას ექსპლოატაცია ტელეფონისა. ფასს ქალაქი დასწევს 55 მანეთამდე.

მოსკოვი. დიდის მთავრინას ელენე ვლადიმერის ასულის და საბერძნეთის მეფის ძის ნიკოლოოზის დაქორწინების დღეს ბერძენთა მონასტრის საკრებულო ტაძარში გადახდილი იქნება სამადლობელი პარაკლისი. მოსკოვში მცხოვრებმა ბერძნებმა მოამზადეს უმაღლეს მეფე-პატარძლისთვის მისართმევად სადაფზედ გამოსახული „ივერიის“ ღვთისმშობლის ხატი.

ბრესტი. ქალაქ ლანდერნოდგან განდევნილმა სულის წმიდის მოლოზნებმა ხელახლა დაიჭირეს თავიანთი სადგური, რადგანაც კონგრეგაციის არხივში აღმოაჩინეს 1828 წლის ბრძანება, რომელიც მფარველობას აღუთქვამს მათ. ხალხი დიდის ამბით მიეგება მოლოზნებს.

ნიცა. მოვიდა მიწად-მოქმედების მინისტრი ერმოლოვი.

გეშენენი. იტალიის მეფეს მიეგება შვეიცარიის საკავშირო საბჭოს დელეგაცია. კავშირის პრეზიდენტმა წარმოსთქვა სადღეგრძელო მეფისა, მეფის სახლობისა და იტალიის ერისა. მეფემ პასუხად შვეიცარიას თანაგრძნობა გამოუცხადა და დალია საკავშირო საბჭოს და შვეიცარიის ხალხის სადღეგრძელო.

იოანესბურგი. გაზ. „ლიდარი“ იუწყება, დიდი რაზმი კრიუგერსდორპიდგან რუსტენბურგს. მიდის და იქიდგან დასავლეთ ზღვრისკენ. მოძრაობის საგანია ზომები მიიღოს, რომ მკვიდრნი არ აჯანყდნენ. ოფიციალურ წრეებში არ უარჰყოფენ, რომ ჯარი გაგზავნილია, მხოლოდ ამის მიზეზად ამბობენ, ინდოეთს წასულის ჯარების მაგიერ ეს რაზმი ჩადგებაო.

სევასტოპოლი. ნაღმიანს გემს № 257, რომელიც შველოდა დაზიანებულს აფრიანს ნავს, გაეხლართა საბუქსირო თოკი და გარიყულ იქმნა ხერსონის კანდელის ქვებზე. მეზღვაურნი გადაარჩინეს,

ნიუიორკი. რუზველტმა წარმოსთქვა აუგუსტში სიტყვა შემდეგის შინაარსისა: დაცვა მონროეს დოკტრინისა ეხლა წარმოადგენს ჩვენთვის უფრო ცხოველს ინტერესს, ვიდრე ოდესმე. ეს დოკტრინა არის უბრალო დამტკიცება ჩვენის აზრისა, რომ იმ ხალხებს, რომელნიც ეხლა სცხოვრობენ ამ ქვეყნის ნაწილში, უნდა მიეცეს ნება თვითონვე განაგონ თავიანთი ბედი. ხოლო ერთად ერთი სახელმწიფო, რომელსაც ძალუძს ნამდვილი მნიშვნელობა მისცეს ამ დოკტრინას, უეჭველია, არის შეერთებული შტატები, რადგანაც მას აქვ' საჭირო ძლიერება ამ დოკრინის განხორციელებისათვის.

პეტერბურგი. დღეს ცარსკოე-სელოში მოვიდნენ საბერძნეთის მემკვიდრე პრინცი კონსტანტინე და მისი მეუღლე პრინცესა სოფიო. საბერძნეთის პრინცები გიორგი და ანდრია დღეს მოვიდნენ პეტერგოფს.

გემების მაშენებელი უმთავრესი გამგეობა უცხადებს ნავთსადგურებს, ქარხნებს და საზღვაო უწყების დაწესებულებათ, რომ არ იყიდონ არც კოჭები, არც რელსი, არც კავები და არც სხვა ლითონის საშენობო მასალა, არამედ ყველა მოთხოვნილება შეატყობინონ უმთავრესს გამგეობას, რომელიც შეუკვეთავს იჟორის ქარხნებს.

თემირხანშურა. ჭირნახულის შემოზიდვა დასრულდა. პურის მოსავალი საშუალოზე ნაკლებია, თივისა ცუდი, ყურძნის უხვი.

ვილდპარკი (პოტსდამის ახლოს). იტალიის მეფე მობრძანდა და მიღებულ იქმნა იმპერატორისაგან, კრონპრინცისაგან, პრინცების ეიტელ ფრიდრიხის და იოახინისაგან, კანცლერისა და ფელდმარშლის ვალდერზეესაგან. ხელმწიფეები გულითად მიესალმნენ ერთმანეთს და რამდენჯერმე ერთმანეთს გადაეხვივნენ. ახალს სასახლეში წავიდნენ იმპერატორი და მეფე, კანცლერი და პრიცები. ხალხი ხელმწიფეებს ეგებებოდა ვაშას ძახილით. იტალიის მუშები მიეგებნენ თავიანთ მეფეს აღტაცებულის ძახილით.

პეტერბურგი. საერო განათლების სამინისტროს ცირკულიარში გამოცხადებულია: ცნობები, რომელიც აქამომდის ეგზავნებოდათ უნივერსიტეტის რექტორებს და უმაღლეს სასწავლებელთა დირექტორებს შესახებ საშუალო სასწავლებელთა კურს დასრულებულთა საიდუმლო დახასიათებათა, უქმდება. კურს დასრულებულთ ამის შემდეგ ეძლევათ მათის კონდუიტიდგან ამოწერილი სრული პირი. სტუდენტად ჩარიცხვის მსურველი თავის თხოვნას ურთავს ხსენებულს ამონაწერს. უმაღლეს სასწავლებელთათვის შემოღებული მოსწავლეთა რიცხვი ისევ რჩება, თუმცა და სასწავლებლის მმართველობას ნება ეძლევა მიიღოს 10% მეტი დანიშნულს რიცხვზე. წმ. ვლადიმერის 1-ლ კურსზე შეიძლება მიიღონ გადაკვეთილზე მეტი 200 კაცამდე. ნება დართულია მოსკოვის საქალებო უმაღლესი კურსების მოწაფეთა რიცხვი ავიდეს 300 მდე. ებრაელებისათვის ამ მომავალს სამოსწავლო წელს ვარშავისა და ოდესის უნივერსიტეტებში და აგრეთვე რიგის საპოლიტეხნიკო ინსტიტუტში აღდგენილია საპროცენტო გადაკვეთილი რიცხვი, რომელიც დაკლებული იყო 1901 წლის განკარგულების ძალით; ებრაელებისათვის ყველა უმაღლეს სასწავლებლებში გამოანგარიშებული იქმნება ახალ მიღებულთა რიცხვის მიხედვით. მიღება უმაღლესს სასწავლებელში იმ მოსწავლეთა, რომელნიც დათხოვნილ იყვნენ უვადოთ მონაწილეობის მიღებისათვის არეულობაში, შეიძლება ნებადართულ იქმნეს არა უადრეს 1903—1904 სააკადემიო წლის დასაწყისისა. ვინც ვადით დათხოვნილ იყვნენ იმავე არეულობის თანამოზიარენი, იგინი მიიღებიან ვადის გასვლის შემდეგ. ხოლო იგინი, რომელნიც დაითხოვეს აღუკრძალველად ნებისა სხვა სასწავლებელში შესასვლელად, მიღებულ იქმნებიან არა უადრეს 1903—1904 წლის დასაწყისისა.

ხარკოვი. დღეს უნივერსიტეტის დარბაზში ზეიმით დაიწყო მეთორმეტე საარქეოლოგიო კრება. კრების საპატიო თავმჯდომარემ დიდმა მთავარმა სერგი ალექსანდრეს ძემ ტელეგრამმა გამოგზავნა. თავმჯდომარეობდა გრაფინია უვაროვისა.

პინსკი. შესდგა პირველი კრება სამაზრო კომიტეტისა სასოფლო მეურნეობის საჭიროებათა გამო.

კონსტანტინეპოლი. მოსვლა შავის ზღვის ფლოტის უფროსის ვიცე-ადმირალის ტირტოვისა რომელიც გადადებული იყო მოხდება მაშინ, როდესაც აქ იქნება რუსეთის ელჩი, რომელიც უნდა დაბრუნდეს მომავალს კვირას.

ხარკოვი. არქეოლოგიურ კრების გუშინდელს სხდომაზედ თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა გრაფინია უვაროვისა

16 აგვისტო

გურზუფი. იუსტიციის მინისტრმა ინახულა მამული „გუზუფი“ და დაბრუნდა იალტაში.

სტამბოლი. გუშინ ილდის კიოსკში მიწვეული იყო სომეხ-გრიგორიანთა პატრიარხი ორმანიანი; აქ მას გამოუცხადა სულთანის უფროსმა მდივანმა, რომ ყოველი სასტიკი ზომები სომეხთა წინააღმდეგ მოსპობილი იქნება თუ თქვენ თავდებათ დადგებით, რომ სომეხნი ოსმალეთში მშვიდობიანათ იცხოვრებენო. პატრიარხის თანა დასწრებით, სომეხთა საბჭოს შეუდგენია ადრესი სულთანთან, რომელშიაც სომხების სრული მორჩილება და ერთგულებაა გამოცხადებული. მოელიან რომ 19 აგვისტოს სულთანის ტახტზე ასვლის დღესასწაულზე გამოცხადებული იქნება შესაფერი ირადე.

ლილლ. კანადის პირველმა მინისტრმა ლორიემ, რომელიც აქაურ გამოფენაზე დაესწრო, ბანკეტზე წარმოსთქვა სიტყვა, რომ თუმცა დროთა ბრუნვამ კანადა მოსწყვიტა საფრანგეთს, მაგრამ სავაჭრო ურთიერთობა შეიძლება ისევ განვაახლოთო, და რომელი ფრანგიც მოისურვებს დასახლებას კანადაში, იმედია ამაში მას ხელს შეუწყობს ყველა აქაური პირობებიო.

ბერლინი. იტალიის კაროლი და იმპერატორი დაბძანდებოდენ დღეს ბერლინში. დაესწრნენ ახალ ბაირაღების კურთხევას, სადღესასწაულო სადილს, წარმოდგენას და დააჯილდოვა კანცლერი ანნუნციატის ორდენით, სამთა კავშირის განხლების სახსოვრად.

კამიშლოვი. ახალი პურის ფქვილი უკვე იყიდება ფუთი 1 მ-დ.

ბერლინი. სადღესასწაულო სადილზედ, კოროლის სადღეგრძელოს დალევის დროს იმპერატორმა წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა; ვსვამ სადღეგრძელოს არა უბრალო ჩვეულობის გამო, არამედ გულითად სიყვარულისათვის გიძღვნი გულ-სწრფელს სალამს, როგორც შვილს შესანიშნავის უშაროს და გულმართალ რაინდის მეფის გუმბერტისას, როგორც მეფეს მშვენიერის იტალიისას, როგორც ერთგულს მონაწილეს განახლებულის კავშირისას; ეს კავშირი უზრუნველ ჰყოფდა ევროპის მშვიდობიანობანობას რამდენი ათის წლის განმავალშიაც დიდის ხნით უზრუნველ ჰყოფს მასაო. დასრულ იმპერატორმა წარმოსთქვა „ვაშა“ მეფის პატივსაცემლად. მეფემ იტალიურად უპასუხა, სულით და გულით თანამოზიარე ვარ თქვენ მიერ გულწრფელად გამოთქმულ გრძნობისა. ჩემთვისაც ფრიად სასიამოვნოა ჩვენს წინაპართა მეგობრობის მოგონებაო, ამ მოგონებათა დროშის ქვეშ ორივე ერი თამამად განაგრძობს წინსვლას ცივილიზაციის გზით, რადგან ძველიდგანვე უზრუნველ ყოფილნი მეგობრობით, რომელიც სიმბოლოა მშვიდობიანობისა. მეფემ აიღო სასმისი სადღეგრძელოდა და აღსაყვავებლად ძლიერის გერმანისა, რომელიც ესოდენ გაცისკროვნებულია შრომისა და ცოდნის ბრწყინვალე სხივებითაო.

ლონდონი. გაზეთებს მოსვლიათ ცნობა ნიუ-კესტლიდგან, რუსეთიდგან გაგზავნილმა კაცებმა ინახულეს ქალ. ნიუ-კესტლის გამგეობის წარმომადგენელნი, რათა მოელაპარაკონ იმ სანაოსნო გზის შესახებ, რომელმაც უნდა გაიაროს მდ. ტეინის ნავთ-სადგურებზე და ამით ხელი შეუწყოს რუსეთ-ინგლისის ვაჭრობას. ქალაქის წარმომადგენლებმა დაარწმუნეს რუსეთის წარმომადგენელნი, ყოველ ღონეს ვიღონებთ, რომ ეს დიდმნიშვნელოვანი სავაჭრო ურთიერთობა განვახორციელოთო.

პეტერბურგის ბირჟა, 9 აგვისტო.

ვექსილის კურსი 13 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,15
ბერლინში 100 მარკაში	46,55
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,80
ბერლინში ,,	46,27½
პარიჟში ,,	37,62½
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97 გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	463 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	352½ გაყ.
5% გირავნ, მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	288¼ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	9675 გაყ.
აქციები ,, „ „ „	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	4350 წვ. გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	180 წვ. გაყ.

სასამართლოს შესახები ცნობანი.

ტფილისის სასამართლო პალატის 1-ლ დეპარტამენტში 9 აგვისტოსათვის დანიშნულია სამოქალაქო საქმეთა განხილვა:

1. ალექსანდრე იაგუშოვისა და სოსია ხანდოლიშვილის დავა მამულის შესახებ.

სტეფანე მანიას და კონტარია ჩითანოვის დავა ხარჯზედ;

ელისაბედ თარხან-მოურავისა და ივანე ნეფედიევ-რომანოვსკის დავა აღმასრულებელ ფურცლის შესახებ

ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი

რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბაქო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით)	3 ს. 43 წ. დღ.	11 ს. 49 წ. დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს. 37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბათუმი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე)	10 ს. 2 წ. დილ.	7 ს. 43 წ. დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ. დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე)	7 ს. 18 წ. დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან)	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბორჯომი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე)	9 ს. 57 წ. დილ	6 ს. 22 წ. დილ
სამგზავრო „ „	6 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

განცხადება

ქ. გორში

სამეფო ქუჩაზედ, არჩუაძის და მაისურაძის წიგნის მაღაზიაში ისყიდება, დაკლებულ ფასად, შეგირდებისათვის ყოველ გვარი სახელმძღვანელო წიგნი.

(30—6.—10)

Открыта подписка на ежедневную (не исключая понедѣльниковъ) газету политической и общественной жизни и литературы

„Бакинскія Извѣстія“

Программа газеты: Дѣйствія и распоряженія Правительства; Телеграммы; Общія статьи по разнымъ вопросамъ; Хроника мѣстная, общая и иностранная; Корреспонденціи; Обзоръ печати; Фельетоны; Судебный отдѣлъ; Нефтяное и горное дѣло; Смѣсь; Справочный указатель.

Подписная цѣна: по 1-ое Января 1903 г. съ доставкою въ Баку и пересылкою въ другіе города—3 р., на 3 мѣсяца 2 р и на одинъ мѣсяцъ 1 руб.

Такса за объявленія: За строку петита или мѣсто занимаемое ею впереди текста—10 к., а позади текста—7 к. Многократныхъ объяв по соглашенію.ніе

Редакція и контора изданія: пассажъ Шагиданова.

Первый номеръ уже вышелъ четвертаго августа.

Редакторъ-издатель.
Н. А. Гриневъ.

(3—у—3)

ღვთის-მოყვარულთა ქრისტიანეთა მიმართ

სოფელი ნაღვარევი, რომელიც მთიულეთშია, დარჩა უეკკლესიოდ, ხალხი-კი აქ მეტად ღარიბია და დავიწყებული ყველასაგან. 100 კომლამდე მცხოვრებელია, მაგრამ ორასი კომლიც რომ იყოს, რა მოახერხოს ასეთმა ბეჩავმა ღარიბ-ღატაკმა მთიულმა ხალხმა? იქამდე ღარიბნი და საწყალნი არიან, რომ წლითი-წლამდე მათი საზრდო მხოლოდ სიმინდი და ქერია, რომელსაც ყიდულობენ ქ. კავკავში 110 ვერსის მანძილზედ და ტანჯვა-ვაებით გადმოაქვთ თავიანთ სახლში.

ამიტომ განვიზრახე მოგროვება ფულისა და აგება ეკკლესიისა. ამ აზრით გ ამოვითხოვე წიგნი მათ მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობის ალექსისაგან, რომ შეწირულებითა და შეწევნითა ხალხისათა აღვაშენო ნაღვარევის სამრევლოში სახლი ღვთისა, წმ. გიორგის სახელობაზედ. ვიმეორებ ამ თხოვნას, ვბედავ და ვაწუხებ ყველა ღვთის მოყვარულ მართლ-მადიდებელ ქრისტეანეთა და ვსთხოვ უმორჩილესად შემწეობა აღმოუჩინონ ამ წმიდა საქმესა.

ჩემი ადრესი:

Ст. Млеты. Воен.-Груз. дор., Т. губ. Сборщику доброхотныхъ пожертвованій на постройку новаго храма въ сел. Нагвареви, причетнику Алексѣю Арганашвили.

ბორჩალოელ ქართველთა გულის-შემატკივართა მიმართ.

ახალშენ ეკატერინენფელდში (ბორჩალოს მაზრა), სადაც ნემცებთან ერთად მრავალი ქართველობა სცხოვრებს, გადმოსახლებულნი ყოველად საშინელის გაჭირვების გამო და შავბედით გატანჯულნი ცოლ-შვილისა დღიურის მუშაობით, არ არსებობს ეკლესია ღვთისა, რომელშიაც ნივთიერად დამარცხებულ ერს შეეძლოს აღორძინდეს სულიერად მაინც და დააკმაყოფილოს თავისი რელიგიური გრძნობა-მოთხოვნილება.

უეკლესიობის გამო ქართველი გლეხი ხალხი და მასთან ყველა ისინიც, რომლებიც მსახურობენ აქ სხვა-და-სხვა მმართველობაში, დაიარებიან ნემეცთა ეკლესიაში, სადაც თვით მოზრდილები და მეტადრე, ნემცურის ენის მცოდნე ახალთაობა, ისმენს ლიუტერის განდგომილს სწავლას.

ქრისტეს მიერ საყვარელნო ძმანო! მოგეხსენებათ, რა შედეგსაც მოგვწევს ეს სამწუხარო ამბავი, თუ ასე გაგრძელდა. ასაცილებლად იმ შემაძრწუნებელ შედეგის, ჩვენ მოვიწადინეთ აღვაშენოთ აქ მართლ-მადიდებელთა ეკლესია. მთავრობამ უყურადღებოდ არ დასტოვა ჩვენი კეთილი დაწყობილება და იმის დახმარებით შევკრიბეთ ორმოც თუმნამდე. ადგილობრივი მემამულენი გვპირდებიან ტყე-მასალას და ასაშენებელ ქვას უსასყიდლოდ, რომლის მოტანა იკისრეს თვით ნემცებმა. ასე, რომ განსახორციელებლად ამ აზრისა, გვჭირდება კიდევ იმოდენი ფული, რაც შეგროვილია ამ ჟამად. ეკლესია იქმნება შინაურის ეკონომიით აშენებული, რომლისათვის კომიტეტმა შეიძინა სამასი ოთხ.-კ. საჟენი მიწა შუა ახალშენში უმაღლესის მთავრობის ბრძანებით.

ამისათვის, როგორადაც თვით ქართველი ერი, აგრეთვე მთავრობისაგან დადგენილი და დამტკიცებული კომიტეტი იყრის მუხლს გულისა თვისისა და ღმობიერად სთხოვს ყველა ქრისტეს მოყვარე ქართველს, რომელნიც-კი ხედავენ არის ბორჩალოელ ქართველთა ერის მწარე ხვედრ ცხოვრებაში,—აღგვიმართონ მკლავი მოწყალებისა და შეგვეწივნენ ღვთის გულისათვის, ვისაც რით შეუძლიან. მათი სახელები იქნება სამუდამო მოსახსენებლად აღბეჭდილი მომავალ ეკლესიის საკურთხეველს შინა.

თავმჯდომარე კომიტეტისა, ქვეშის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მღვ. სტეფანე ბაიდოშვილი.

კომიტეტის წევრნი:
მკურნალი—ვლ. ინაევი
გამომძიებელი—Мих. Вас. Чиловъ
ბოქ. გიორ. ი. თ. ანდრონიკაშვილი
მწერ. საქ. ი. ი. თ. ციციშვილი.

ადრესი შემოწირულებათა: *Черезъ Шулаверы, Комитету по постройкѣ Екатериненфельдской православной церкви.*

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, И. Алхазова	„	30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н. Марра	3	„
О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили	„	20
Неестественность „естественнаго“ метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе	„0	1
Бальваръ и Іодасафъ, А. Хаханова	„	60
Очерки по исторіи грузинской словесности, А. Хаханова в. Ш.	3	„
Замѣтки о городскомъ самоуправленіи на кавказѣ Г. Туманова	„	60
Георгій XII, послѣдній царь Грузіи, Н. Дубровина	1	»
მეცნიერებისათვის წამებულნი, სურათებით, თარგმანი ა. ნიკოტინის	1	„
ველურობა და განათლება, თარგ. ს. ჯულელის	„	30
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა თარგმანი ა. ნატ. გიგაურისა	„	50
ბრძნული სიტყვები	„	10
წმიდა აბო ტფილელი	„	30
ლაზარილიო ტორმესელი, ესპანიური მოთხრობა, თარგმ. პ. უმიკაშვილისა	„	10
ტფილისი, მ. ჯანაშვილისა	„	50
თამარიანი, პოემა ს. გუგუნავასი	„	50
ნამყენი ვაზით ვენახის მოშენება ს. ქვარიანისა	„	5
სურამის ციხე, დ. ჭონქაძისა	„	15
კონსტანტინე ბატონიშვილი, თ. ხუსკივაძისა	„	5
ზღაპრები სურათებით	1	„
ბაწია და ბუნკლია, სურათებით თარგმანი დ. ავალიანისა	„	30
„შოთა რუსთაველი“ მ. ჯანაშვილისა	„	40
Царица Тамара, მისივე	„	50

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16 Августа 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.